ერთობლივი მოქმედება ერთმანეთის გასაძლიერებლად

სინერგია

ორშაბათი, 16 მაისი, 2011 | რეზონანსის ყოველთვიური დამატება | №7

დევნილები ბაკურციხეში: ნესტის სუნით გაჟღენთილი პერსპექტივა

მარი ოთარაშვილი

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში ნამდვილი მაისია: მზე ბრდღვიალებს და იასამნები ყვავის. დევნილთა კორპუსებში კი მაისის მზემ ჯერ ვერ შეაღწია: მათი ოთახები ნესტით არის გაჟღენთილი.

ბაკურციხეში დევნილები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ იანვარში გადმოასახლა. ისინი პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის სამსართულიან შენობაში ცხოვრობენ.

პირველ სართულზე კედლები ნესტისგან არის გაშავებული. ირგვლივ ნესტის სუნი დგას.

ნესტი ზედა სართულზეც აღწევს. მეორე და მესამე სართულებზე ონკანებში წყალი იშვიათად მოდის.

„ყველაფერი უხარისხოდ არის გაკეთებული. მეტლახი ძალიან ცუდადაა დაგებული - დატყდა; ფილები ცვივა. ონკანები, პრაქტიკულად, მოშლილია. წეროვანში დევნილებს ნემსიც კი დაახვედრეს. ჩვენ რა დავაშავეთ? არაფერი გვინდა, ოღონდ ნესტი არ იყოს და საარსებო მიწა მოგვცენ“, - ამბობს გუდაუთიდან დევნილი **ირინა სირაძე.**

„ისეთი ნესტია, მალე სოკოები ამოგვივა. ხომ ხედავთ, კედლები გაშავებულია. გვეშინია, ბავშვები ტუბერკულოზით არ დაავადნენ. „ეს ავეჯი ჩვენი მოტანილია: აქ არაფერი დაგვხვედრია. ორხევში საბაჟო დეპარტამენტის შენობა ახლაც დაკეტილია. რა იქნებოდა, ზაფხულამდე იქ რომ ვყოფილიყავით?“ - ამბობს კოდორიდან დევნილი, ობლების დედა - **მარინა აფრასიძე.**

„კატას თვალახვეულს რომ გადააგდებენ - იმიტომ, რომ უკან აღარ დაბრუნდეს, სწორედ ისე წამოგვიყვანეს: სატვირთო მანქანაში შეგვყარეს. კარები რომ ჩაკეტეს, ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით“, - იხსენებს გამოსახლების დეტალებს აფრასიძე.

* * *

ბაკურციხეში ჩასახლებული დევნილებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმებაა. საარსებო წყარო მათ, პრაქტიკულად, არ აქვთ. თავს მოჯამაგირეობით ირჩენენ. ამბობენ, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მთავრობამ დასამუშავებელი მიწა მისცეს და თავი ასე ირჩინონ, ვიდრე მისი დახმარების მოლოდინში იყვნენ:

„საიდან ვიშოვოთ ლუკმაპური? დახმარებების იმედად როდემდე ვიყოთ? უკვე ისიც აღარ მოაქვთ. სუბელიანი შეგვპირდა, ქათმებს მოგიყვანთო. საქათმეები ავაშენეთ, მაგრამ ქათმები არ ჩანს. სოფელში რომ გადმოგვასახლეს, მიწის ნაკვეთი ხომ გვინდა? რით ვიარსებოთ? ხევი დავბარეთ, მაგრამ ისიც სხვისი ტერიტორიაა. მოჯამაგირეებად დავდივართ და თავს ასე ვირჩენთ. ეს გვეყოფა?!“, - ამბობს **ირინა სირაძე.**

* * *

ბაკურციხის პროფსასწავლებლის შენობაში დაახლოებით 46 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. თითქმის ყველა აფხაზეთიდან არის. მათი ნაწილი აგვისტოში გადმოასახლეს, ნაწილი კი - იანვარში.

მინისტრი სუბელიანი ბაკურციხეში 3 მარტს იყო. დევნილები ამბობენ, რომ სწორედ მაშინ შეჰპირდა ის მიწებსაც, ქათმების მოყვანასაც და საქათმეების აშენებასაც. მას შემდეგ არც დანაპირები ჩანს და არც - სუბელიანი.

მარინა აფრასიძე: „სუბელიანი რომ მოვიდა, არანაირი პრეტენზია არ გამოგვიხატავს. თავი ისე მოვაჩვენეთ, თითქოს ყველაფრით კმაყოფილები ვიყავით. ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ მისმა თანმხლებმა პირებმა - სამინისტროს წარმომადგენლებმა დაგვარიგეს: ცუდი არაფერი თქვათ, თქვენთვის ასე უკეთესი იქნებაო. დანაპირები სად არის?!“

კახეთში სახნავ-სათესი მიწებიც და საძოვრებიც უხვად არის, მაგრამ დევნილებისთვის ეს პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს. მათ ისიც ვერ გაურკვევიათ, ეკუთვნით თუ არა შეღავათები ელექტროენერგიით მომარაგებისას.

ზაირა ნიჟარაძე, ოჩამჩირიდან: „ამბობენ, რომ დენზე შეღავათები გვაქვს, მაგრამ ნამდვილად ასეა თუ არა, არ ვიცით. ზამთარში დენით ვთბებოდით, მაგრამ ასეთ სინესტეში ოთახებს რა გაათბობდა? ავარიული შენობაა, გადახრილი. ეს ფანჯრებიც ჰაერს არ ატარებს“.

ნინა იარენკო, სოხუმიდან: „თითქმის ყველანი პენსიაზე ვართ. და მხოლოდ ამ პენსიით რამდენი რამ უნდა შევიძინოთ? არავინ გვეხმარება. მხოლოდ ცარიელი სიტყვებია!“

დევნილები ჩვენთან საუბრისას ამბობენ, რომ მიზერული დახმარება, რომელსაც ისინი იღებენ ფქვილის, მაკარონის, ზეთისა და ერთჯერადი ჰიგიენური საშუალებების სახით, ყოველთვიური არ არის.

ზაირა ნიჟარაძე: „ჰუმანიტარული დახმარება სულ სამჯერ მოგვიტანეს. თურმე, მნიშვნელობა არ აქვს, ერთსულიანი ოჯახი გყავს თუ ხუთსულიანი: ყოველ ოჯახს ერთი პატარა ტომარა ფქვილი, 1 კგ შაქარი, 1 კგ მარილი ერგება. სააღდგომოდ, ყველა ოჯახს თითო პასქა, ორი ბოთლი ლიმონათი და კვერცხები მოგვიტანეს...“

ბაკურციხეში გადასახლებული დევნილები იმასაც ამბობენ, რომ სამინისტროს წარმომადგენლები მათ პროდუქტის მიწოდების დროსაც ატყუებენ:

დასასრული მე-2 გვერდზე

არჩევანი, როგორც პარადოქსი ზუგდიდში, „დოსააფის“ ცენტრში მცხოვრები დევნილებისთვის

ნონა უბილავა

აქ შიმშილი, ავადმყოფობა, არაჯანსაღი ფსიქოლოგიური ფონი მძვინვარებს. აქ აღარავის უკვირს, რომ არასრულწლოვანი დევნილი გოგონა ტუბერკულოზის ღია ფორმით არის დაავადებული, ხოლო დევნილ ქალბატონს, რომელსაც ანემიის მძიმე ფორმა ჰქონდა, უკვე ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს. ეზოში მდებარე, ამორტიზებული ორი საპირფარეშო და მოუწესრიგებელი საკანალიზაციო მილები ინფექციის გავრცელების აქტიური წყარო.

ზუგდიდში, ხუბულავას ქ. №11-ში მდებარე კოლექტიურ ცენტრ „დოსააფში“ დევნილთა ჩასახლება 1993 წელს დაიწყო. ეს პროცესი 1998 წელსაც გაგრძელდა. ცენტრში 40 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. მათი უმრავლესობა გალის რაიონის დაბალი ზონის მცხოვრებია, შესაბამისად, მაღალია მიგრაციის დონე.

აქამდე შენობა რეგისტრირებული იყო, როგორც თავდაცვის სამინისტროს საკუთრება, ამჟამად კი მისი მფლობელი ეკონომიკის სამინისტროა. კოლექტიური ცენტრის ორ ორსართულიან და სამ ერთსართულიან შენობაში ცხოვრების აუტანელი პირობებია. ერთ-ერთ შენობას მზიან ამინდშიც კი აწვიმს. საქმე ის არის, რომ წვიმიან ამინდში ე.წ. „სინკარებში“ წყალი გროვდება. დევნილები ოთახებში ქოლგებით დადიან.

ზაირა მირცხულავა: - რამდენიმე წლის წინათ, შენობები დანიის ლტოლვილთა საბჭომ გაგვირემონტა, მაგრამ უკვე გვაწვიმს; აიყარა იატაკი, მოუწესრიგებელია სველი წერტილები. არჩევნების წინ საკრებულოს ახლანდელი თავმჯდომარე დახმარებას დაგვპირდა, თუმცა, მისი არჩევის შემდეგ, არანაირი დახმარება არ მიგვიღია. აფხაზეთის მთავრობაზე არაფერს ვამბობ. მისი წარმომადგენელი მხოლოდ ერთხელ იყო მოსული. შემდეგ, ჩვენი არაერთი თხოვნის მიუხედავად, აღარ გამოჩენილა.

ცოტა ხნის წინ ძალიან დაგვეხმარა არასამთავრობო ორგანიზაცია „დეა“ - გამოკვლევები ჩაგვიტარდა. თუმცა, მედიკამენტების შეძენას ვერ ვახერხებთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „გაენათის“ თანამშრომლებმა სკამები, მაგიდები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები მოგვიტანეს.

დევნილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები კი მხოლოდ იმისათვის მოდიან, რომ გასახლების თაობაზე ინფორმაცია მოგვაწოდონ. მაგრამ სოფლებში გადასვლაზე ჩვენ კატეგორიული უარი განვაცხადეთ.

> ზუგდიდში მდებარე „დოსააფის“ კოლექტიურ ცენტრში დევნილებს, არაადამიანური პირობების შემსუბუქების ნაცვლად, სამინისტრო გასახლებაზე ესაუბრება

ხათუნა მირცხულავა: - მე არსად გადავალ - იმიტომ, რომ აქ ვარ ინტეგრირებული. აქ ჩასახლებულების უმრავლესობას ვალები გვაქვს. საკვებ პროდუქტებს მიმდებარე მაღაზიებში ნისიად გვაძლევენ. იყო შემთხვევა, როდესაც ვალი ორი წლის განმავლობაში ვერ გადავიხადე. სხვაგან ასე ვინ გაითვალისწინებს ჩემს მდგომარეობას? მირჩევნია, მაწვიმდეს, ვიდრე შვილები შიმშილით დამეხოცოს. ზოგიერთი ჩემი მეზობელი ჯართს აგროვებს და ასე გააქვს თავი (ჩასახლება მდ. ჩხოუშიას ახლოს მდებარეობს - ავტ.) ჯართის გაყიდვით ნაშოვნი 1 ან 2 ლარით ისინი პურს ყიდულობენ.“

„დოსააფის“ კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ დევნილებს არჩევანი გაკეთებული აქვთ. როგორ ხედავს მათ მომავალს სუბელიანის უწყება?

დევნილთა ქსელი „სინერგია“ შეეცადა, გადაემოწმებინა ინფორმაცია დევნილთა მოსალოდნელი მასობრივი გამოსახლების შესახებ.

ჩვენი ინფორმაციით, რომელიც ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და ლტოლვილთა სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოში შემავალი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინებას, ამჟამად დევნილთა მასობრივი გამოსახლება მოსალოდნელი არ არის.

სინათლის სხივი ფოცხო-ეწერში

„უკვე მეცხრე თვეა, რაც ყველასთვის ცნობილია ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლების პრობლემების შესახებ, მაგრამ უკეთესობისკენ ცვლილებები იქ ჯერ კიდევ არ იგრძნობა. დევნილთა მოთხოვნები საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნის, ამბულატორიის, საბავშვო ბაღის აღდგენასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელია. ფოცხოში არსებულ სავაჭრო წერტილებში საკვებ პროდუქტებზე ფასები მუნიციპალიტეტის ცენტრებში არსებულ ფასებს ორჯერ აღემატება, იქამდე მგზავრობა კი 5 ლარზე მეტი ღირს. ამიტომაც, ხშირად შეხვდებით ჯვარიდან ფოცხომდე ფეხით მომავალ ადამიანებს“ - გვატყობინებს ზუგდიდში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯის“ ხელმძღვანელი - **იაგო ფასანძე.**

ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლებაში „საუნჯემ“, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციითა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდული რესურს-ცენტრი გახსნა.

„საუნჯე“ დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელ „სინერგიის“ წევრია. აქედან გამომდინარე, ფოცხო-ეწერში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციას ქსელი პირველწყაროდან იღებს და ამ ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ჩასახლებული დევნილების მაჯისცემას კარგად გრძნობს.

იაგო ფასანძე: „თბილისიდან ფოცხო-ეწერში იძულებით, ერთდროულად ჩასახლებულ დევნილთა 20 ოჯახიდან დარჩენილია 12 ოჯახი; მათ იქ დაემატნენ თბილისიდან ნებაყოფლობით ჩასულები, ასევე, სხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩასახლებული დევნილები.

დასახლებაში სულ 554 დევნილია რეგისტრირებული, მაგრამ რეალურად, იქ გაცილებით ცოტა ცხოვრობს. ოთახები დაკეტილია: დევნილებმა ან ვეღარ გაუძლეს იქაურ პირობებს, ან, უბრალოდ, ბინები მიიღეს და შემდეგ აღარ გამოჩენილან. ზოგიერთი გალის რაიონში ცხოვრობს და ფოცხოში ხშირად ჩადის. მიგრაცია იმდენად ინტენსიურია, რომ რეალურად, ფოცხო-ეწერში თავმოყრილ დევნილთა ზუსტი რაოდენობა დაუდგენელია.

ფოცხო-ეწერში დევნილები კვლავ სხვების დახმარების იმედით ცხოვრობენ. იმისთვის, რათა მათ საკუთარი თავის რჩენა შეძლონ, საჭიროა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მეტად მობილიზება, რომლებიც მცირე გრანტებს გასცემენ და ხელს უწყობენ მცირე ბიზნესის განვითარებას. ამასთანავე, საჭიროა ფოცხო-ეწერში საარსებო გარემოს გაუმჯობესებისთვის აღებული პასუხისმგებლობის შეხსენება ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის. ასევე, საჭიროა თავად დევნილთა თემის გააქტიურება და ჩართულობა ფოცხო-ეწერში ცვლილებებისათვის და თვითმმართველობასთან კომუნიკაციის დასამყარებლად“.

იაგო ფასანძე „საუნჯის“ რესურს-ცენტრის ამ მიმართულებით მუშაობაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ვატარებთ შეხვედრებს ახალგაზრდებთან. ვსაუბრობთ სამოქალაქო აქტიურობაზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და იმ რესურსებზე, რომელიც თითოეულ ახალგაზრდას, თითოეულ მოქალაქეს აქვს. ახალგაზრდებმა უკვე დაიწყეს მუშაობა ორ მნიშვნელოვანი პრობლემის - საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეისის დანიშვნისა და ფოცხო-ეწერში „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების საკითხის გადასაწყვეტად. პრობლემის მოგვარების შემთხვევაში, თვეში ორჯერ, პენსიებისა და დევნილთა შემწეობის თანხის გასაცემად, ბანკი დევნილებს ადგილზე მოემსახურება. „ასევე, ტრანსპორტის რეისის დანიშვნის თაობაზე ახალგაზრდებმა უკვე შეაგროვეს ხელმოწერები და მიმართეს პრეზიდენტის რწმუნებულს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

რესურს-ცენტრში ახალგაზრდები სწავლობენ კომპიუტერულ პროგრამებს; არის უფასო კომპიუტერული და ინტერნეტმომსახურება, დევნილებს უწევენ იურიდიულ კონსულტაციას, ეწყობა შეხვედრები ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და ქალებთან.

მე-9 და მე-12 კლასების მოსწავლეებს ჩვენს წარმომადგენლობაში, პირველ ეტაპზე, კომპიუტერული პროგრამების შესწავლის საშუალება მივეცით. მოთხოვნა დიდია და, კომპიუტერების რაოდენობის სიმცირის გამო, ყველა პირველ ეტაპზე ვერ გაივლის კურსს, მაგრამ ამის საშუალება მათ შემდეგ ეტაპზე მიეცემათ.

ამ ერთი თვის განმავლობაში ათეულობით ადამიანს გავუწიეთ ინტერნეტმომსახურება. მათ საშუალება ეძლევათ, მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, დაუკავშირდნენ ახლობლებს სოციალური ქსელების საშუალებით. გარდა ამისა, ბევრ დევნილს არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი და არ იცის, როგორ უნდა იმოქმედოს, ვის მიმართოს ამ სტატუსის მისაღებად. ჩვენ მათ იურიდიულ კონსულტაციას ვუწევთ.

„საუნჯეში“ კვირაში ერთხელ იკრიბებიან ბავშვები, ხატავენ, უყურებენ მულტფილმებს, ვაწვდით მათთვის საინტერესო ინფორმაციას“.

ახალგაზრდული ცენტრის მუშაობას ფოცხო-ეწერში მცხოვრები დევნილები აფასებენ:

რუსუდან გოჩავა, 18 წლის: „კომპიუტერის სწავლების შესაძლებლობა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ჩემთვის ეს განსაკუთრებით დროული იყო, რადგან აბიტურიენტი ვარ. გამორჩეულად დამამახსოვრდა ჩვენი შეხვედრა ფსიქოლოგთან. ვარ ახალგაზრდული ჯგუფის წევრი, რომელიც ჩვენთან არსებული პრობლემების მოგვარებაზე მუშაობს. ასე რომ, ერთფეროვანი ცხოვრება გარკვეულწილად შეიცვალა“.

თამთა გვაგვალია, მე-5 კლასის მოსწავლე: „საუნჯეში“ მოსვლა გვიხარია, რადგან აქ გვესაუბრებიან ბავშვთა უფლებებზე, გვიჩვენებენ მულტფილმებს, ვხატავთ. ფოცხოში ამდენი ბავშვი ერთად არასოდეს შევკრებილვართ. უკვე კვირაში ერთხელ ვიკრიბებით“.

დასასრული მე-4 გვერდზე

დევნილები ბაკურციხეში: ნესტის სუნით გაჟღენთილი პერსპექტივა

გაგრძელება

„ხელს ერთი ულუფის მიღებაზე გვაწერინებენ, მაგრამ ვინ იცის, თვითონ რამდენს იჯიბავენ. თუკი ერთსულიან და ხუთსულიან ოჯახზე პროდუქტს ერთნაირად ანაწილებენ, სხვა რა უნდა იფიქრო?!“ - კითხულობს **ირინა სირაძე.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბაკურციხეში შარშან, აგვისტოში ჩასახლებულ დევნილებს, ვიდრე მათ იანვარში დევნილთა ახალი ნაკადი არ მიემატა, არანაირი დახმარება არ მიუღიათ.

ირინე სირაძე: „აგვისტოში გადმოგვიყვანეს. მას შემდეგ ჩვენთვის არავინ მოუკითხავს. იანვარში დევნილთა მეორე ნაკადი რომ მოიყვანეს, მხოლოდ მაშინ მოგვიტანეს ცოტაოდენი დახმარება. აგვისტოში აქ 9 ოჯახი მოვიდა, იანვარში - დანარჩენები. სულ 56 ოჯახი ვართ. დევნილები ორ კორპუსში ცხოვრობენ, 3 შენობა კი ცარიელია“.

„ყოველ ოჯახს ხელს პროდუქტის ერთი ულუფის მიღებაზე გვაწერინებენ. ვინ იცის, თვითონ რამდენს იჯიბავენ. თუკი ერთსულიან და ხუთსულიან ოჯახზე პროდუქტს ერთნაირად ანაწილებენ, სხვა რა უნდა იფიქრო?!“

მინისტრი სუბელიანი ბაკურციხეში 3 მარტს იყო. ვდევნილები ამბობენ, რომ სწორედ მაშინ შეჰპირდა ის მიწებსაც, ქათმებიც მოყვანასაც და საქათმეების აშენებასაც. მას შემდეგ არც დანაპირები ჩანს და არც – სუბელიანი.

* * *

დევნილები ადგილობრივებს კარგად შეეწყვნენ. აქ სკოლაც არის და საბავშვო ბაღიც, მაგრამ, პრაქტიკულად, არ არსებობს ბავშვებისთვის (არამარტო დევნილებისთვის) გასართობი სივრცე:

ნინა იარენკო: „აქ დიდი მინდვრებია და, ღვთის წყალობით, ვირებიც ბევრია. ჩვენი ბავშვები ამ ვირებს ხან დაბამენ, ხან - აუშვებენ და უკან დასდევენ. აი, ასე ერთობიან...“

* * *

ბაკურციხეში ჩასახლებულ დევნილებს საცხოვრებელ ფართს არავინ უკანონებს. ეს კი მათ შიშის საფუძველს უქმნის: „აპრილში დაგიკანონებთო - შეგვპირდნენ, მაგრამ არავინ გამოჩენილა. აქედანაც რომ აგვყაროონ?“

„სუბელიანი რომ მოვიდა, თავი ისე მოვაჩვენეთ, თითქოს ყველაფრით კმაყოფილები ვიყავით. ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ მისმა თანმხლებმა პირებმა – სამინისტროს წარმომადგენლებმა დაგვარიგეს: ცუდი არაფერი თქვათ, თქვენთვის ასე უკეთესი იქნებაო“

დევნილები საქართველოში - ინტეგრაცია თუ დეზინტეგრაცია?

ინტეგრაცია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესია, რომლის მიზანიც ცალკეულ ჯგუფთა თვითიდენტიფიკაციის ერთიან საზოგადოებრივ და კულტურულ ჩარჩოებში მოქცევაა. მოხდა თუ არა ორი ომის შედეგად გაჩენილი დევნილების ინტეგრაცია იმ საზოგადოებაში, რომელიც მათ დახვდა? - ამის შესახებ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მათი გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ დევნილთა ინტეგრაცია სოციალურ-სამართლებრივი კუთხით შემდგარი პროცესია, რომელიც კვლავ ვითარდება; ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ დევნილთა ინტეგრაციასთან კი არა, დეზინტეგრაციასთან გვაქვს საქმე, რასაც ხელი საქართველოს ხელისუფლებამ შეუწყო.

სოციალური პროგრამების ფონდის თავმჯდომარე **ირაკლი ბოკუჩავა** ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ დევნილთა ინტეგრაციასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში, როგორც სამართლებრივ, ასევე, სოციალურ ჭრილში პრობლემა არასოდეს ყოფილა: „დევნილები აფრიკის კი არა, საქართველოს მოქალაქეები არიან და, შესაბამისად, მათი ინტეგრირების პრობლემა არასოდეს ყოფილა. ადრეულ ეტაპზე იყო რაღაც ხარვეზები, მაგრამ ეს ხარვეზები სამართლებრივ ჭრილში გამოსწორდა“.

ბოკუჩავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დევნილთა ინტეგრაციის ხელისშემშლელი არც თეორიული და არც პრაქტიკული ფაქტორი ქვეყანაში არ არსებობს:

„საზოგადოებაში დევნილთა ინტეგრირებაზე საუბრისას სხვადასხვა ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ. უნდა გავითვალისწინოთ, სურს თუ არა დევნილ საზოგადოებას ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებაში, და ასევე, აქვს თუ არა ადგილობრივ საზოგადოებას დევნილების მიღების სურვილი. ასე რომ, დევნილთა ინტეგრაციის ასპექტში მიღებულ შედეგთან დაკავშირებით ცალსახად დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა სწორი არ იქნება.

ინტეგრაციის პრობლემა ქვეყანაში არ არსებობს. ნებისმიერ დევნილს რომ ჰკითხოთ, სწორედ ასე გიპასუხებთ. თუკი ამ შეკითხვას სვამთ, გამოდის, რომ დევნილები არ ყოფილან ქართული საზოგადოების ნაწილი, ანუ ისეთ პრობლემას ვქმნით, რომელიც, რეალურად, არ არსებობდა. თუკი დევნილები უცხოეთიდან ჩამოსულები არ არიან, რომელ ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ?! დევნილები თავიდანვე საზოგადოებამ მიიღო და, ყველაზე მეტად, მათ სწორედ საზოგადოება ეხმარებოდა.

2003 წლამდე, როცა დევნილებს საკუთრების უფლება არ ჰქონდათ, შეიძლებოდა ამ პრობლემაზე გვესაუბრა. მაგრამ 2003 წლის ნოემბერში რაღაც ხარვეზები გამოსწორდა; დევნილებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცათ. რაც შეეხება სოციალურ ინტეგრაციას, ეს პროცესი დაწყებულია“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი ლია

ლია მუხაშავრია: „ფოცხო-ეწერსა თუ ბაკურციხეში დევნილთა განსახლებამ დეზინტეგრაციის პროცესს ხელი კიდევ უფრო შეუწყო“.

მუხაშავრია მიიჩნევს, რომ დევნილთა ინტეგრაცია მიღწეული, პრაქტიკულად, არ არის.

ლია მუხაშავრია: „ინტეგრაციის საკითხს იმ მოქმედებიდან გამომდინარე უნდა შევხედოთ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა დევნილთა მიმართ. ინტეგრაცია ნიშნავს დევნილებისთვის ხელშეწყობას, რათა უკეთესად შეეგუონ გარემო პირობებს; უმტკივნეულოდ მოახდინონ ადაპტაცია. მასში იგულისხმება არამარტო განსახლება, არამედ დევნილთა განთავსება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა და სამუშაო ადგილების შეთავაზება; ასევე, სხვა ინფრასტრუქტურებთან გამარტივებული ურთიერთობა - იმისათვის, რომ ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა გაუადვილდეთ. მაშინ, როცა ხდება დევნილთა მიერ არჩეული, უკვე შეჩვეული ადგილებიდან მათი გადასახლება და განსახლება იქ, სადაც ეს ადამიანები ადრე არ ცხოვრობდნენ, არ ჰყოლიათ ახლობლები, როცა ადგილობრივი ინფრასტრუქურა მათთვის მიუწვდომელია, ეს, რა თქმა უნდა, დეზინტეგრაციას ნიშნავს. გამოდის, რომ დევნილი არის ადამიანი, რომელიც არის განსაკუთრებით მოწყვლადი, განსაკუთრებით მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე.

მთავრობის მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ხელი შეუწყოს დევნილთა ინტეგრაციას. 90-იან წლებში, როცა დევნილები დიდ ქალაქებში მოხვდნენ, ხელისუფლებამ დევნილებისა და დანარჩენი საზოგადოების დაპირისპირების პოლიტიკა უფრო გაატარა, ვიდრე მათი ურთიერთობის ხელშეწყობის.

აგვისტოს ომის შემდეგ კი მოსახლეობამ თვითონ გამოიჩინა ინიციატივა: პირველ დღეებში, როცა ამ ადამიანებისთვის არანაირი დახმარება არ არსებობდა, მოქალაქეებს საკუთარი ინიციატივით მიჰქონდათ საკვები; ყველანაირად ცდილობდნენ დახმარების გაწევას.

ყველამ იცის, რომ ამ ქვეყანაში დევნილსაც და იმასაც, ვინც დევნილი არ არის, მთავრობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას დევნილთა ინტეგრაცია კანონით ევალება, ის საპირიპისპიროს აკეთებს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი არა დევნილთა ინტეგრაციას, არამედ დეზინტეგრაციას ნიშნავს“, - აცხადებს უფლებადამცველი.

მუხაშავრიას თქმით, ფოცხო-ეწერსა თუ ბაკურციხეში დევნილთა განსახლებამ დეზინტეგრაციის პროცესს ხელი კიდევ უფრო შეუწყო.

„წარმოიდგინეთ, იანვარში, როცა შუა სასწავლო წელია, როცა სკოლებში არდადეგები დასრულებულია, მაშინ ასახლებენ დევნილებს ფოცხო-ეწერსა თუ ბაკურციხეში. გაითვალისწინეთ ისიც, რომ იქ სამუშაო ადგილები არ არის. ხალხი ოჯახიანად აყარეს და გადაასახლეს. შეიძლება, ბავშვი სკოლაში არ მიიღონ, ან კიდევ - ვერ მიესადაგოს ადგილზე მიმდინარე სასწავლო პროცესს; დევნილმა სამუშაო ვერ იშოვოს, ავადმყოფმა ვერ იპოვოს ის ექიმი, რომელიც მას სჭირდება; ვერ მოძებნოს აფთიაქი, რომელშიც წამალი უნდა იყიდოს... დეზინტეგრაცია კი სხვას არაფერს ნიშნავს“.

> ირაკლი ბოკუჩავა: „ინტეგრაციის პრობლემა ქვეყანაში არ არსებობს. ნებისმიერ დევნილს რომ ჰკითხოთ, სწორედ ასე გიპასუხებთ“.

მარი ოთარაშვილი

დევნილთა გამოსახლების მორიგი ეტაპი გადაიდო?

მარი ოთარაშვილი

დევნილთა მასობრივი გამოსახლების მესამე სერია მაისში აღარ იქნება. დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თავმჯდომარე - დავით მალაზონია აცხადებს, რომ სამინისტრომ დევნილთა მორიგი განსახლება, რომელიც მაისში იყო დაგეგმილი, სავარაუდოდ, ზაფხულისთვის გადადო. მისივე ინფორმაციით, სუბელიანის უწყება დევნილებს 180 ობიექტიდან უპირებს გამოსახლებას.

დავით მალაზონია: „მაქვს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 180 ობიექტიდან იგეგმება დევნილების გამოსახლება. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ეს მთავრობას ძალიან გაუჭირდება. თუკი აქამდე, დევნილთა გამოსახლებების დროს ხელისუფლებისთვის წინააღდეგობის გასაწევად საკმარისად მობილიზებულნი არ ვიყავით, ახლა დევნილების საკმაოდ დიდი არმია გვყავს.

დამიკავშირდნენ ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე კავშირგაბმულობის ტექნიკუმის შენობაში მცხოვრები დევნილები. როგორც მათ მითხრეს, გამოსახლებით უკვე ემუქრებიან. ასევე, ენუქიძის 7-დან და გურამიშვილის 64-დან, ვარკეთილის მეორე მიკრორაიონში მდებარე 204-ე ბაგა-ბაღიდან, ვარკეთილში მდებარე ე.წ. აგურის სახლებიდან, ნუცუბიძის მეოთხე მიკრორაიონში მდებარე მე-8 კორპუსიდან, გახოკიძის 8-დან... ასევე, გამოსახლებას უპირებენ ქალაქის სხვადასხვა უბანში, ბაგა-ბაღებში მცხოვრებ დევნილებს.

სტრატეგიის მიხედვით, გამოსახლების შემთხვევაში, ხელისუფლებამ დევნილები უნდა დააკმაყოფილოს ალტერნატიული ფართით, სადაც მათ ექნებათ ნორმალური საცხოვრებელი პირობები და წყარო არსებობისთვის.

სხვა შემთხვევაში, მორიგ გამოსახლებას არ დავუშვებთ. ყველა საშუალებით ვეცდებით, სუბელიანის უწყებას წინააღმდეგობა გავუწიოთ“, - აცხადებს მალაზონია.

„კარგად გვახსოვს, ზუგდიდში, არჩევნების წინ, როგორ მოგვიშვირა დევნილებს საათი სააკაშვილმა და გვითხრა: ეს დრო დაინიშნეთ, თქვენ დაბრუნდებით აფხაზეთში. როგორც ჩანს, ის საათი გაჩერებული ყოფილა. ჩვენ არაფერს დავთმობთ. არაფრის გვეშინია“, - ამბობს დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი ომანაძე.**

დევნილებსა და მათი პრობლემებით დაინტერესებულ პირებს ყველაზე მეტად ის აფიქრებთ, რომ სუბელიანის უწყება დევნილთათვის საცხოვრებელი ფართის დაკანონებას თავს არიდებს.

„კონსერვატორ“ **ლაშა ჩხარტიშვილის** ინფორმაციით, თბილისში დევნილებს დაკანონებული არ აქვთ 300-ზე მეტი ობიექტი. სწორედ ეს აძლევს მას იმაზე ფიქრის საფუძველს, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესს გაგრძელება აუცილებლად ექნება.

ალექსანდრე შალამბერიძე კი ამბობს, რომ დევნილთა გასახლება იგეგმება არამხოლოდ დედაქალაქში, არამედ გორშიც:

„საუბარია გორის საბავშვო ბაღებზე, ასევე, სკრასა და გორთან ახლოს მდებარე სხვა სოფლებზეც“.

მართლაც გეგმავს თუ არა სუბელიანის უწყება თბილისში მდებარე, დევნილთა 180 ჩასახლებიდან მათ განსახლებას; თუ იგეგმება, კონკრეტულად - როდის, რომელი ობიექტებიდან და რატომ არ უკანონებენ დევნილებს ფართებს - ამ შეკითხვებით ჩვენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მივმართეთ. აღნიშნული შეკითხვები სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, ეკა გულუას თავდაპირველად ზეპირი სახით დავუსვით და სამინისტროში კომპეტენტურ პირთან დაკავშირება ვთხოვეთ. გულუამ შეკითხვების ელექტრონული ფოსტით გადაგზავნა მოგვთხოვა. სამინისტროდან პასუხები არც ამ ფორმით მიგვიღია.

მედიაში ასახული დევნილთა განსახლების პროცესი

მიმდინარე წლის თებერვალში, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოსთვის“ IPM Media Monitoring-ის მიერ მომზადდა ანგარიში: „დევნილთა განსახლების პროცესის საინფორმაციო გამოვლინებების ანალიზი 2011 წლის იანვრის მედიაში (ტელევიზია, პრესა, რადიო).“

კვლევაში მოცემულია სიუჟეტები / სტატიების რაოდენობრივი განაწილება მედია საშუალებების მიხედვით; მედია საშუალებების მიერ მოვლენის შეფასების რაოდენობრივი და შინაარსობრივი კლასიფიკაცია; დევნილთა განსახლების პროცესთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების რაოდენობრივი და შინაარსობრივი აღწერა; სუბიექტების მიერ დევნილთა განსახლების პროცესის შეფასებების პროცენტული გადანაწილება სუბიექტებსა და მედია საშუალებებს შორის.

დევნილთა განსახლების თემას 2011 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით სულ 195 რადიო სიუჟეტი, 105 სტატია და 221 სატელევიზიო სიუჟეტი დაეთმო.

რადიო არხებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით გამოირჩევა რადიო „პალიტრა“ - აღნიშნულ თემაზე შემოთავაზებული 57 სიუჟეტით. ეს კი რადიო სიუჟეტების 29%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის რადიო „უცნობი“ (26%) და, თითქმის თანაბარი რაოდენობით - რადიო „ქალაქი“ (16%) და რადიო „ფორტუნა“ (13%).

დევნილთა განსახლების თემას პრესაში ყველაზე მეტი - 20-ზე მეტი სტატია დაუთმო „ახალმა თაობამ“ - სულ სტატიების რაოდენობის 19%. მას მცირედით ჩამორჩება „რეზონანსი“ (15 სტატია), მე-3 და მე-4 ადგილებს კი „მესინჯერი“ და „24 საათი“ ინაწილებენ.

კვლევის მიხედვით, ყველაზე მეტი სიუჟეტი განსახლების თემას ტელეკომპანია „მაესტრომ“ დაუთმო - 78 სიუჟეტი, რაც მთელი სატელევიზიო სიუჟეტების 35%-ია. რაოდენობის თვალსაზრისით, მეორე ადგილზეა ტელეკომპანია „კავკასია“ - 23%-ით. შემდეგ მოდიან „საზოგადოებრივი არხი“ და „რუსთავი - 2“ - სიუჟეტების თითქმის თანაბარი რაოდენობით (17%-14%).

ანგარიშში მოცემულია მედია საშუალებების მიერ მოვლენის შეფასების რაოდენობრივი და შინაარსობრივი კლასიფიკაცია. მასში ხაზგასმულია, რომ: „სიუჟეტის შეფასება ხდება არამარტო იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოაჩინა მოვლენა ჟურნალისტმა, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა ტიპის ფაქტების შემცველია ის. სიუჟეტი, რომელიც მოიცავს ნეგატიურ ფაქტებსა და ნეგატიურ კომენტარებს - ნეგატიურია; პოზიტიურ ფაქტებსა და კომენტარებს - პოზიტიური. ნეიტრალურია სიუჟეტი, თუ ის მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს, ყოველგვარი შეფასების შემცველი ეპითეტებისა და სიტყვათა შეთანხმებების გარეშე, ან მოიცავს ორი დაპირისპირებული მხარის არგუმენტებს.

ანგარიშში მოცემულია მედია საშუალებების სიუჟეტებისა და სტატიების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სამივე მედია სექტორში.

კვლევის მიხედვით, მთლიანად, რადიო სიუჟეტების 63% (123 სიუჟეტი) ნეგატიურ ხასიათს ატარებს, 11% (21 სიუჟეტი) კი - პოზიტიურს. პრესაში ნეგატიურია სტატიების 69%, პოზიტიური კი მხოლოდ 7%-ია. რაც შეეხება ტელევიზიას: სიუჟეტების მთელი რაოდენობის 59% ნეგატიურია, 13% კი - პოზიტიური.

კვლევაში მოცემულია დევნილთა განსახლების პროცესთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების რაოდენობრივი და შინაარსობრივი აღწერა. მაგალითად, მასში აღნიშნულია, რომ „რეზონანსი“, „ახალი ვერსია“, „ტაბულა“, „მესინჯერი“, „ახალი თაობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ გვთავაზობენ ორი მხარის არგუმენტებს ალტერნატიულ ფართებთან დაკავშირებით, „პრაიმ-ტაიმი“ კი მხოლოდ პოზიტიურად აშუქებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ფართებს.

კვლევაში მოცემულია სტატიების რაოდენობრივი და შინაარსობრივი კლასიფიკაცია, განსახლების პროცესის სხვადასხვა ასპექტის საფუძველზე. ირკვევა, რომ გამოსახლების მძიმე ფორმას პრესაში დიდი ადგილი ეთმობა - 26 სტატია, და ძირითადად, საუბარია დილით ადრე, პოლიციელების ძალით დევნილების გამოსახლებაზე. არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების შესახებ კი 21 სტატია მოგვითხრობს. გარდა ამისა, „საინტერესოა Human right watch-ის ანგარიშში საქართველოსთვის დათმობილი გვერდების რაოდენობის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „კვირის პალიტრის“ ინფორმაცია. პირველი ამბობს, რომ 5 გვერდი დაეთმო საქართველოს, ხოლო მეორე გამოცემის მიხედვით - 30“.

რამდენიმე მოვლენა ხასიათდებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო გამოვლინებებით - როგორც ერთი რადიო არხის სიუჟეტების, ასევე, სხვადასხვა არხის შედარებისას. აღნიშნული განსხვავებები ხშირად სხვადასხვა ობიექტზე, დევნილთა სხვადასხვაგვარი განცხადებებით არის გამოწვეული; რადიო არხები აღნიშნული ინფორმაციების გაშუქებისას, ძირითად შემთხვევებში, მიუთითებენ ინფორმაციის წყაროს. ასეთ თემებს მიეკუთვნება: კომპენსაციის, გამოსახლებების შესახებ შეტყობინებების მიღება-არმიღების, ალტერნატიული ფართების შეთავაზების საკითხები; განსახლების ობიექტების რაოდენობა.

ოპოზიციის ჩართულობას დევნილთა განსახლების პროცესში ყველაზე მეტი ჯამური გამოვლინება (159 სიუჟეტი) აქვს სატელევიზიო სივრცეში. ყველაზე მეტ სიუჟეტს ამ თემას „მაესტრო“ უთმობს.

ალტერნატიული ფართების საკითხს 63 სიუჟეტი დაეთმო. სხვადასხვა არხი სხვადასხვა მიმართულებით ამახვილებს ყურადღებას ფართებთან დაკავშირებით. „კავკასიის“ ინფორმაციით, დევნილების ნაწილი აცხადებს, რომ ალტერნატიული ფართები არ შეუთავაზებიათ; ნაწილი უარს აცხადებს არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო, სამინისტროს პასუხი კი ასეთია: თბილისში ყველა დევნილისთვის ადგილი არ არის.

„იმედი“ მხოლოდ სამინისტროს განცხადებას აშუქებს ფართების შეთავაზების თაობაზე, „რუსთავი-2“ და „მაესტრო“ როგორც სამინისტროს, ასევე, დევნილების დამოკიდებულებებს აშუქებენ, თუმცა, „მაესტროზე“ უფრო მეტად სწორედ დევნილთა კომენტარებია შეთავაზებული ფართით უკმაყოფილების თაობაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობოების ჩართულობას პროცესებში 37 სიუჟეტი ეთმობა.

12 სიუჟეტი ეთმობა გამოსახლების მძიმე და მიუღებელ ფორმებს, სადაც კვლავ დილით ადრე, 6-7 საათზე, პოლიციის ძალით დევნილთა გამოსახლება ფიგურირებს. კვლევაში ხაზგასმულია, რომ ამ ფაქტს „რეალ-ტივი“ და საზოგადოებრივი არხი არ აშუქებენ აღნიშნულ ფაქტს.

წესებისა და პროცედურების დაცულობის საკითხს სულ 12 სიუჟეტი ეთმობა. „კავკასია“ და „მაესტრო“ ორ მხარეს წარმოადგენენ პროცედურების დაცულობასთან დაკავშირებით: სუბელიანი განმარტავს, რომ პროცედურები მიჰყვება იმ გეგმას, რაც შემუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობოების რეკომენდაციებითა და ჩართულობით, თუმცა, ადვოკატი ღია მუხაშავრია და ოპოზიციონერები კანონის დარღვევებზე მიუთითებენ. „იმედი“, „რუსთავი-2“ და „საზოგადოებრივი არხი“ მხოლოდ სამინისტროს განცხადებას ავრცელებენ.

არაადეკვატურ საცხოვრებელ პირობებს მხოლოდ „მაესტრო“ და „კავკასია“ უთმობენ 11 სიუჟეტს.

დევნილის ცემის ფაქტზე მხოლოდ „კავკასია“ საუბრობს ორ სიუჟეტში და აქვე მოცემულია სამინისტროს მიერ ფაქტის უარყოფაც.

ასევე, ორ სიუჟეტშია ნახსენები დევნილთა ნივთების ორთაჭალის საწყობში მოთავსების ფაქტი. ამის შესახებ „მაესტრო“ საუბრობს. „აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი არც ერთ სხვა მედიაში არ გაშუქებულა“, - ნათქვამია კვლევაში.

როგორ ნაწილდება სუბიექტების მიერ დევნილთა განსახლების პროცესის შეფასებები სუბიექტებსა და მედია საშუალებებს შორის? ანგარიშში განმარტებულია, რომ დევნილთა გამოსახლების ფაქტის შეფასება მოხდა სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების, პარტიების, დამოუკიდებელი ექსპერტების, თვით დევნილების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების მიერ.

ყველა რადიო სიუჟეტში გამოვლენილი ნეგატიური შეფასებების 28% რადიო „უცნობზე“ გაჟღერდა, პოზიტიური კი არის მხოლოდ სამინისტროსა და მისი წარმომადგენლების შეფასებები: სულ - 40 შეფასება.

პრესაში მოცემული ნეგატიური შეფასებების 15-15% მოიცვეს „რეზონანსმა“ და „მესინჯერმა“, მათ მოსდევს „ახალი თაობა“ - 13%-ით. პოზიტიური შეფასებებიდან ყველაზე მეტი - 23-23% მოდის „მესინჯერზე“, „პრაიმ-ტაიმსა“ და „ტაბულაზე“ - 22%.

ტელეკომპანია „მაესტრომ“ მოიცვა ყველაზე მეტი ნეგატიური შეფასება - მთელი სატელევიზიო ნეგატიური შეფასებების 41%; ყველაზე მეტი პოზიტიური შეფასება - 34% კი „საზოგადოებრივ არხზეა“.

და ბოლოს, კვლევაში მოცემულია მედია საშუალებებით გავრცელებული ციტატები, რომელიც დევნილთა გამოსახლების პროცესის შეფასებას გამოხატავს პოზიტიურ და ნეგატიურ კონტექსტში. მაგალითისთვის:

ნეგატიური შეფასება: „ხელისუფლებამ მარცხი განიცადა გამოსახლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, რადგან არ გაუმართავს გულწრფელი კონსულტაციები დევნილებთან, არ წარმოუდგენია შეტყობინება გონივრულ ვადაში და არ მოუხდენია ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფა“ - Human right watch („24 საათი“, 28.01.2011).

პოზიტიური შეფასება: „ეს არის ჩვეულებრივი სოციალური პროცესი, რომელსაც შეგნებულად ხმაური ახლავს ხოლმე პოლიტიკოსების მხრიდან და ეს რა მიზანს ემსახურება, გასაგებია. ეს ფართები დევნილების არ ყოფილა არასოდეს“, - კობა სუბელიანი („კავკასია“, „დღეს“, 21.01.2011; 20:30:17)

მოამზადა ნათია ახალაიამ

სინათლის სხივი ფოცხო-ეწერში

გაგრძელება

* * *

სერგო ბოკუჩავა წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა. რუსი ნაციონალისტების მიერ მიყენებულმა ფიზიკურმა ტრავმამ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნა. 2008 წელს რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის ტალღას ჩამოჰყვა. თბილისში დასახლდა. ფსიქიატრთან მკურნალობას აგრძელებდა, მაგრამ თბილისიდანაც იძულებით გადაასახლეს ფოცხოში. სერგო თანამედროვე ტექნოლოგიების პროგრამისტია. ავადმყოფობის მიუხედავად, კომპიუტერთან უპრობლემოდ მუშაობს. „საუნჯის“ ოფისში ის ხშირად მოდის:

„ფოცხო-ეწერში ცხოვრებას ვერ შევეგუე, რადგან დაბადებიდან სულ დიდ ქალაქებში მიწევდა ცხოვრება. ასეთ პატარა დაბაში არასოდეს მიცხოვრია.

აქ ხშირად მტკივა თავი და უკვე წამლებიც აღარ მშველის. უძილობა მაწუხებს. თბილისში კვირაში ერთხელ დავდიოდი ფსიქიატრთან და ფსიქოლოგთან. აქედან რამდენიმე თვის წინ ტელეფონიოთ დავუკავშირდი ჩემს ექიმს - ხათუნა კობახიძეს, მაგრამ მითხრა, - თუ ვერ გნახავ, ისე წამლებს ვერ დაგინიშნავო, მე კი წასვლის საშუალება არ მაქვს. მას შემდეგ, რაც ფოცხოში იძულებით ჩამასახლეს, თბილისში არ ვყოფილვარ. აქ კი ჩემი ავადმყოფობის მკურნალობისთვის შესაბამისი პროფილის ექიმები არ არიან.

ზუგდიდში წასვლას თვეში მხოლოდ ერთხელ ვახერხებ - მგზავრობა ძვირია. ახლობლებს მოწყვეტილი ვარ. ახლა „საუნჯეში“ ხშირად დავდივარ და მათ ინტერნეტით ვუკავშირდები. გარდა ამისა, ფოცხოში ტელევიზორით მხოლოდ ორი არხის ნახვაა შესაძლებელი, ინტერნეტის საშუალებით კი ეს ვაკუუმი ივსება“.

„იმედი მაქვს, რომ ჩვენი ორგანიზაციის შესაძლებლობები გაფართოვდება და თემის განვითარებისა და დასახლებაში სასიკეთო ცვლილებებისთვის მეტი რესურსი გაჩნდება“, - ამბობს **იაგო ფასანძე.**

> ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლებაში „საუნჯე“, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციითა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდული რესურს-ცენტრი გახსნა.

გაზეთი „სინერგია“ გამოდის დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან არსებული საერთაშორისო განვითარების ფონდისა (UKAID) და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.